განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

## სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი (ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა გლაზგოს უნივერსიტეტთან და ტარტუს უნივერსიტეტთან ერთად)

## "ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, რუსეთისა და ევრაზიის კვლევების"
## Central and East European, Russian and Eurasian Studies (CEERES)

შეფასების თარიღ(ებ)ი
21/01/2022
დასკვნის წარდგენის თარიღი

თბილისი

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი (ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა გლაზგოს უნივერსიტეტთან და ტარტუს უნივერსიტეტთან ერთად) |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 204861970 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | "ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, რუსეთისა და ევრაზიის კვლევების" Central and East European, Russian and Eurasian Studies (CEERES) |
| უმაღლესი განათლების საფეხური | მაგისტრატურა |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2] | კავკასიის კვლევების მაგისტრი (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი)<br>საერთაშორისო მაგისტრი (გლაზგოს უნივერსიტეტი; ტარტუს უნივერსიტეტი) |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | 0388 - ინტერდისციპლინარული - მოიცავს სოციალურ მეცნიერებებს, ჟურნალისტიკას, ინფორმაციის მართვას |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში) | |
| სწავლების ენა | ინგლისური |
| ECTS კრედიტების რაოდენობა | 120 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით | აკრედიტებული (26.01.2018, გადაწყვეტილება No. 20.) |

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის" და „დაწესებულების სახის" მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

| | |
|---|---|
| აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი) | |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | დიბიეშ ანანდი, ვესტმინსტერის უნივერსიტეტი, დიდი ბრიტანეთი |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ივანნა მაჩიტიძე, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | თამთა ცხოვრებაძე, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | სალომე ალანია, ფრიდრიხ ებერტის ფონდი, სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ოფისი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ნანა ფირცხელანი, კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, რუსეთისა და ევრაზიის კვლევების სამაგისტრო პროგრამა არის ორწლიანი და მეორე კურსზე ორიენტირებულია საქართველოზე/კავკასიაზე. თავისი არსით, პროგრამა საერთაშორისოა, რადგან ჩარიცხული სტუდენტები მიიღებენ მინიმუმ სამი დაწესებულების სასწავლო გამოცდილებას. ეს კონკრეტული, ჩვენ მიერ შემოწმებული პროგრამა მოიცავდა გლაზგოს, ტარტუსა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტებს.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა ონლაინ, ზუმის პლატფორმის საშუალებით, 2022 წლის 21 იანვარს (პარასკევს). ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს, პროგრამის დირექტორებს, აკადემიკოსებს, ოფიციალურ პირებს, სტუდენტებს და გარე დაინტერესებულ მხარეებს.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

პროგრამა სრულად აკმაყოფილებს სხვადასხვა ქართულ, ევროპულ და საერთაშორისო სტანდარტს.

- **რეკომენდაციები**

ორი მცირე რეკომენდაცია მოცემულია 2.4 და 3.1 პუნქტებში.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

ჩვენ დავადგინეთ, რომ პროგრამა შესანიშნავია, თუმცა გვაქვს რამდენიმე წინადადება გაუმჯობესებისთვის და ისინი წარმოდგენილია ქვემოთ სხვადასხვა დასათაურებით. პროგრამას ექნება სტუდენტების უკუკავშირის უკეთესი და მკაფიო სისტემა, რომლითაც მოხდება მათი შეხედულებების რეგულარული განხილვა და განხორციელდება შესაბამისი ცვლილებები პროგრამის სხვადასხვა ეტაპზე, სხვადასხვა ინტერესის მქონე სტუდენტის მხარდასაჭერად. ამჟამად, დამსაქმებლების უკუკავშირი მიიღება ყოველ სამ წელიწადში ერთხელ - ეს უფრო ხშირი უნდა იყოს, რომ პროგრამაში რეაგირება ხშირად მოხდეს.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

დაწესებულებებს შორის თანამშრომლობითი მუშაობა, სწავლების მეთოდებისა და თემების მრავალფეროვანი სპექტრი, ბალანსი აკადემიურ, პრაქტიკულ, ადგილობრივ, რეგიონულ და გლობალურ ცოდნას შორის.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

## პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**

   პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
| --- |
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>პროგრამის მიზნები მკაფიო, რეალისტური და მიღწევადია. ეს არის უნიკალური პროგრამა, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა დაწესებულებასა და ქვეყანას, ასევე კვლევით, აკადემიურ და პრაქტიკულ უნარებს კულტურებსა და სასწავლო დაწესებულებებს შორის. პროგრამა საკმაოდ მოქნილია და სტუდენტებს პირველ კურსზე სთავაზობს მეთოდოლოგიურ და ცოდნაზე დაფუძნებულ სიღრმისეულ ტრენინგს ორ სხვადასხვა დაწესებულებაში. პროგრამის ქართული ნაწილი (მეორე კურსი, ორი სემესტრი, რომელიც მოიცავს არჩევით კურსებს, სავალდებულო სტაჟირებას და სამაგისტრო დისერტაციას) მკაფიო სტრუქტურას ექვემდებარება და შეესაბამება პროგრამის საერთო მიზნებს. ამ საერთაშორისო პროგრამას აქვს შესაძლებლობა მოამზადოს მაგისტრები, რომლებიც მართლაც შეესაბამებიან სიტყვას „საერთაშორისო“ და ასევე კარგად ერკვევიან რეგიონის (მათ შორის საქართველოს) პოლიტიკაში, გეოპოლიტიკასა თუ კულტურაში.<br>პროგრამის დიზაინი ზედმიწევნით ითვალისწინებს მიზნებს, რომლებიც დაკავშირებულია რეგიონის სპეციფიკასთან, მრავალდისციპლინურობასთან, ენობრივ უნარებთან, კულტურათაშორის ცნობიერებასთან მობილობისა და დამოუკიდებელი კვლევების გზით. ეს ასევე მუშაობს პრაქტიკაში.<br>პროგრამაში გაცხადებულია, რომ ის პასუხობს შრომის ბაზრის საჭიროებებსა და მოთხოვნებს. მოწოდებული დოკუმენტები ეხება დამსაქმებლების მიერ ფოკუს-ჯგუფებში ჩატარებული ინტერვიუების მეშვეობით გაკეთებულ შეფასებებს. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფმა ჩათვალა, რომ მეტი უნდა გაკეთდეს დამსაქმებლების ჩასართავად, მათი უკუკავშირის მისაღებად და პროგრამის ხელახალი შეფასებისთვის. მცირედ არის აღნიშნული დამსაქმებლებთან მუდმივი კომუნიკაციის (ფორმალური თუ არაფორმალური) მექანიზმი. მეორე მხრივ, საუკეთესო პრაქტიკის სახით, ზოგიერთმა დამსაქმებელმა აღნიშნა, რომ პროგრამის ადმინისტრაციამ განიხილა მათი წინადადებები პროგრამის გაუმჯობესების თაობაზე.<br>პროგრამა ძალიან მკაფიოდ არის დაკავშირებული დაწესებულების მისიასთან მაღალი დონის ინტერნაციონალიზაციის კუთხით. ინფორმაცია პროგრამის შესახებ საჯარო და ხელმისაწვდომია. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ პროგრამის სწავლის შედეგების რუკა, სხვადასხვა კურსის სილაბუსები, უკუკავშირი ინტერვიუებიდან, პროგრამის ხელმძღვანელების წვლილი და |

თვითშეფასების ანგარიში მიუთითებს კარგად გააზრებულ და სიღრმისეულად შემუშავებულ სამაგისტრო პროგრამაზე. დაწესებულების მაღალი ვალდებულება, მხარი დაუჭიროს პროგრამას საკუთარი მისიის ფარგლებში, დიდი ძალას წარმოადგენს.

- ინტერვიუები პროგრამის ადმინისტრაციასთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან
- თვითშეფასების ანგარიში;

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ სტუდენტებს საქართველოს კულტურა და მისი მრავალფეროვნება უფრო აინტერესებთ, ვიდრე გეოპოლიტიკა. პროგრამის აღწერილობა მიუთითებს იმაზე, რომ ის უფრო მეტად არის დაკავშირებული გეოპოლიტიკასთან და საერთაშორისო ურთიერთობებთან, ვიდრე კულტურასთან. სტუდენტების სიმცირიდან და მათი განსხვავებული ინტერესებიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა მცირე ცვლილებების შეტანა პროგრამის რეკლამირებასა და პრეზენტაციაში, რათა კულტურა ისევე იყოს წარმოჩენილი, როგორც გეოპოლიტიკა. ასევე, ექსპერტთა ჯგუფის შემოთავაზებაა შრომის ბაზრის საჭიროებებისა და მოთხოვნების უფრო ხშირი შეფასება და პოტენციურ დამსაქმებლებთან (საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, საჯარო სექტორთან) მუდმივი კომუნიკაციის მექანიზმის ჩამოყალიბება (რომელიც წელიწადში ერთხელ მაინც განხორციელდება).

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- დაწესებულებებს შორის არსებობს პარტნიორობა, ასევე სამუშაო კულტურა, რომელშიც ყველა ორგანიზაცია განიხილება თანაბარ პარტნიორად. კვლევის მეთოდებს, ენის სწავლებას, აკადემიურ სტიპენდიას, სტაჟირებასა და კვლევას შორის არის შესანიშნავი ბალანსი.

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

### 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამის სწავლის შედეგები მკაფიო, თანმიმდევრული, ამბიციური და მიზნის შესაბამისია. ისინი მჭიდრო კავშირშია პროგრამის მიზნებთან და სათანადოდ რეალისტური და ამბიციურია. ისინი შეესაბამება სამაგისტრო პროგრამის ქართულ, ევროპულ და საერთაშორისო სტანდარტებს. დოკუმენტებზე დაყრდნობით, ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება განცხადებას, რომ თითოეულ პარტნიორ დაწესებულებას აქვს მკაფიო მექანიზმები შესაბამისი სწავლის შედეგების განსაზღვრისთვის და ერთმანეთთან კოორდინაციისთვის. პროგრამა ნათლად განსაზღვრავს სხვადასხვა ინგრედიენტებს (მეცნიერული ცოდნა, უნარები, ქცევა და პასუხისმგებლობები), რომლებიც საჭიროა წარმატებისთვის. არსებობს მნიშვნელოვანი მექანიზმი, რომელიც გულისხმობს მოქნილობასა და კოორდინაციას კონსორციუმის რეგულარული შეხვედრების მეშვეობით. ამავდროულად, დაწესებულებებს შორის არის განსხვავებები სამუშაო და აკადემიური კულტურის კუთხით და ეს პროგრამის სუსტი კი არა, ძლიერი მხარეა. ზოგადად, სტუდენტებისთვის ყველაფერი თავიდანვე ნათლად არის განსაზღვრული და დაწესებულებებს შორის შრომა მკაფიოდაა გადანაწილებული. როგორც ჩანს, სხვადასხვა დაინტერესებული მხარე იცნობს სწავლის შედეგებს. თუმცა, დაწესებულებებს შორის კოორდინაცია საკმარისად არ უნდა მივიჩნიოთ და უფრო ძლიერი მექანიზმები უნდა განვითარდეს, რათა მოხდეს მიღწევების გაზიარება წელიწადში ორჯერ კონსორციუმის შეხვედრის გარეთ.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

| |
|---|
| ○ თვითშეფასების ანგარიშმა, მტკიცებულებად წარმოდგენილმა დოკუმენტებმა და სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან ჩატარებულმა ჩვენმა ინტერვიუებმა დაგვარწმუნა ამ პროგრამის სიღრმისეულობასა და შესაბამისობაში. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>○ როგორც თვითშეფასების ანგარიშში ჩანს, დაწესებულებამ დრო და ენერგია უნდა ჩადოს სწავლის შედეგების შეფასების უკეთესი და რეგულარული სისტემების განვითარებაში, ნაცვლად იმისა, რომ ელოდოს გრძელვადიანი აკრედიტაციის დავალებებს. მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში სტუდენტები და აკადემიკოსები გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებენ აკადემიური ცოდნის დივერსიფიკაციასა და დეკოლონიზაციას. რეგიონის თავისებურებების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს დიდ ქვეყანასა და მის მეზობლებს შორის ძალაუფლების ასიმეტრიას, პროგრამის გრძელვადიან ინტერესს შეეფერება მრავალფეროვნებისა და დეკოლონიზაციის საკითხების მეტი ჩართვა.<br>○ წელიწადში ორჯერ კონსორციუმის შეხვედრის კოორდინირება დასაფასებელია, მაგრამ შეხვედრებს შორის კოორდინაციისთვის უკეთესი მექანიზმების შემუშავება საჭიროა. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ თანმიმდევრულობა სწავლის შედეგების შორის, რომლებიც ეფუძნება სამ სხვადასხვა დაწესებულებაში შემოთავაზებულ სწავლებას. |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მეტი ყურადღება გამახვილდა ქართულ კულტურასა და პოლიტიკაზე შემოთავაზებულ თემებზე. |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

### პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | | | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
|---|
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>Erasmus Mundus ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, რუსეთისა და ევრაზიის კვლევების საერთაშორისო სამაგისტრო პროგრამაზე (IMCEERES) დაშვების კრიტერიუმები არის სამართლიანი, გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი ყველა პოტენციური |

აპლიკანტისთვის.

ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ დაშვების კრიტერიუმების შესახებ სრული ინფორმაცია მოცემულია CEERES - ERASMUS Mundus ვებ-გვერდზე (http://ceeres-erasmusmundus.eu/postgraduate/erasmusmundus/ceeres/howtoapply/), ასევე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. როგორც კონსორციუმის უნივერსიტეტების წარმომადგენლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, გლაზგოს უნივერსიტეტი კოორდინაციას უწევს განაცხადების წარდგენის პროცესს, ასევე ამ პროცესში ასრულებს ძირითადი კოორდინატორის როლს ტარტუს უნივერსიტეტთან ერთად.

შერჩევის კრიტერიუმების გარდა, „ხშირად დასმულ კითხვებში" შემოთავაზებულია დეტალური მიმოხილვა ყველა დამატებითი კითხვის შესახებ, რომელიც შეიძლება გაუჩნდეს პოტენციურ აპლიკანტებს.

**რაც შეეხება მისაღები დოკუმენტების პაკეტს, საჭირო საბუთები შემდეგია:**

- ხარისხის დამადასტურებელი ოფიციალური სერტიფიკატის ასლი (ან ასლები) (თუ განმცხადებელმა უკვე მიიღო ხარისხი);
- ოფიციალური აკადემიური ჩანაწერების ასლი (ან ასლები), სადაც ნაჩვენებია შესწავლილი საგნების სრული დეტალები და მიღებული ნიშნები/ქულები;
- სერთიფიკატ(ებ)ისა და ნიშნების ფურცლ(ებ)ის ოფიციალური ინგლისური თარგმანები (დამატებითი დეტალები ხელმისაწვდომია ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი ყველა შესაძლო ვარიანტის შესახებ);
- ორი სარეკომენდაციო წერილი ბლანკიან ქაღალდზე. სასურველია აკადემიური რეკომენდაციები. რეკომენდაციები უნდა იყოს დათარიღებული ბოლო 12 თვის განმავლობაში;
- ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი საბუთი (თუ პირველი ენა არ არის ინგლისური);
- CV – Europass CV-ის ფორმატში;
- თქვენი პასპორტის ფოტოსურათიანი გვერდის ასლი;
- სტიპენდიის განაცხადის ფორმა.

სტიპენდიაზე განსახილველად, განმცხადებლებმა უნდა წარადგინონ განაცხადის პაკეტი იანვარში, თუ სექტემბრის სემესტრში უნდათ ჩარიცხვა. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიუებმა პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან

| |
|---|
| დაადასტურა, რომ განაცხადის პროცესის ყველა ეტაპი და ვადა კარგად იყო ცნობილი აპლიკანტებისთვის.<br>ინგლისური ენის სერტიფიკატის ატვირთვა შესაძლებელია სტიპენდიის შედეგების მიღების შემდეგ.<br>პროგრამის მონახაზში ასევე შემოთავაზებულია ინფორმაცია დაშვების კრიტერიუმების შესახებ. საქართველოს მოქალაქეები ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივ სამაგისტრო პროგრამაზე განაცხადის შეტანსას აბარებენ ერთიან ეროვნულ გამოცდებს. დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე - naec.ge.<br>ექსპერტთა ჯგუფს მოსწონს ეს ყველაფერი. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ IMCEREES პროგრამის მონახაზი;<br>○ ინტერვიუები პროგრამის წარმომადგენლებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;<br>○ CEREES-ის ოფიციალური ვებ-გვერდი - ceeres-erasmusmundus.eu/postgraduate/erasmusmundus/ceeres/howtoapply/<br>○ თვითშეფასების ანგარიში |
| **რეკომენდაციები:**<br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>○ პროგრამაზე დაშვების კრიტერიუმები იძლევა კონკურენტული შერჩევის საშუალებას და, შესაბამისად, განაპირობებს მაღალი კვალიფიკაციის მქონე სტუდენტების მიღებას, რომლებიც დაინტერესებულები არიან ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, რუსეთისა და ევრაზიის კვლევებით. |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა |

☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი CEERES-ის თვითშეფასების ანგარიშიდან და დოკუმენტაციის პაკეტიდან, ასევე სამი უნივერსიტეტის (გლაზგოს, ტარტუს და ილიას უნივერსიტეტები) პროგრამის კოორდინატორებთან და ადმინისტრაციასთან ჩატარებული ინტერვიუებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფმა დაასკვნა, რომ პროგრამა სრულად შეესაბამება უნივერსიტეტის დებულებებს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და დამტკიცების შესახებ, ასევე პროგრამაში ცვლილებების შეტანის, მათი გადახედვისა და გაუქმების წესებსა და პროცედურებს. CEREES არის ორმაგი სამაგისტრო პროგრამა და სტუდენტებს პირველ ხარისხს - საერთაშორისო მაგისტრი (IntM) ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, რუსეთისა და ევრაზიის კვლევებში (კოორდინირებულია დიდი ბრიტანეთის გლაზგოს უნივერსიტეტისა და ესტონეთის ტარტუს უნივერსიტეტის მიერ). ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შემთხვევაში კი პროგრამა იძლევა კავკასიის კვლევების მაგისტრის ხარისხს (MCS) პოლიტიკურ მეცნიერებებში (ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, რუსეთისა და ევრაზიის კვლევები).

ამრიგად, პირველი სასწავლო კურსის პირველ სემესტრს სტუდენტები ატარებენ ტარტუს უნივერსიტეტში და გადიან ძირითად კურსებს: „შესავალი ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, რუსეთისა და ევრაზიის კვლევებში“, ერთ-ერთ შეთავაზებულ ენაზე და „სოციალური მეცნიერებების მეთოდოლოგია“ (24 ECTS კრედიტი ძირითადი კურსებიდან). შეთავაზებულია არჩევითი კურსებიც (6 ECTS). მეორე სემესტრს

სტუდენტები ატარებენ გლაზგოს უნივერსიტეტში და ირჩევენ ერთ-ერთ მიმართულებას: ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის კვლევები, რუსეთის კვლევები, ევრაზიის კვლევები, დასავლეთ ბალკანეთი (ძირითადი კურსების 20 ECTS და არჩევითი კურსის 10 ECTS). მეორე კურსზე სტუდენტები იმყოფებიან ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში. სტაჟირება არის ერთადერთი ძირითადი სასწავლო კომპონენტი (6 ECTS), ხოლო არჩევითი კურსი შეადგენს 24 ECTS-ს; ეს ემატება დისერტაციას.

პროგრამა ექვემდებარება უწყვეტ და რეგულარულ შეფასებას. როგორც გლაზგოსა და ტარტუს უნივერსიტეტების პროგრამის კოორდინატორებთან ინტერვიუებმა აჩვენა, კონსორციუმის შეხვედრა წელიწადში ორჯერ ტარდება, რათა განიხილონ ხარისხთან დაკავშირებული ყველა საკითხი და მოახდინონ ნებისმიერი გადახედვა მთელი პროცესის განმავლობაში. საჭიროების შემთხვევაში იგეგმება დამატებითი შეხვედრები. მაგალითად, პროგრამის შინაარსი და სწავლის შედეგები, რომლებიც 2018 წლიდან მკაცრ გადახედვას გადიოდა, ასევე დადასტურდა კონსორციუმის შეხვედრაზე. პროგრამის სტრუქტურის მიხედვით, კავკასიის მიმართულებით დაინტერესებული სტუდენტები აგრძელებენ მესამე სემესტრს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში და წერენ სამაგისტრო ნაშრომს მეოთხე სემესტრის განმავლობაში. შემოთავაზებული კურსების უფრო დეტალური მიმოხილვა და მათი თავსებადობა აკრედიტაციის სტანდარტებთან ვლინდება კომპონენტში 2.3. როგორც ინტერვიუებმა აჩვენა, თავდაპირველად არ არსებობდა მოლოდინი, რომ პროგრამა მოიზიდავდა აბიტურიენტების დიდ რაოდენობას. თუმცა, მისი სპეციფიკური რეგიონალური ფოკუსის გათვალისწინებით, პროგრამის წარმომადგენლები კმაყოფილნი არიან წლიური განაცხადების რაოდენობით და, კერძოდ, კავკასიის მიმართულებაზე განაცხადებების რიცხვით.
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში პროგრამის აკადემიურ ხელმძღვანელს მხარს უჭერს ხელოვნებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის ადმინისტრაცია და ასევე ჩართული არიან ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის, სასწავლო დეპარტამენტის სხვა ადმინისტრატორები. იმ სტუდენტებისთვის, ვინც ირჩევს კავკასიის მიმართულებას.
პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს და სრულ შესაბამისობაშია სწავლის შედეგებთან. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. სამაგისტრო პროგრამა სტრუქტურირებულია ისე, რომ სტუდენტებს საშუალებას აძლევს განავითარონ სიღრმისეული ცოდნა იმ რეგიონში, რომელიც მათ განსაკუთრებულად აინტერესებთ, კერძოდ, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, კავკასიისა და რუსეთის საკითხებში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- IMCEREES პროგრამის მონახაზი;
- ინტერვიუები პროგრამის წარმომადგენლებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;

| |
|---|
| ○ CEREES-ის ოფიციალური ვებ-გვერდი - ceeres-erasmusmundus.eu/postgraduate/erasmusmundus/ceeres/howtoapply/<br>○ თვითშეფასების ანგარიში;<br>○ გადაწყვეტილებები CEREES პროგრამის განახლებისა და განვითარების შესახებ. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ CEREES MA პროგრამა ერთ-ერთია საქართველოში იმ პროგრამებიდან, რომლის ფარგლებშიც ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი კავკასიის კვლევების კონსორციუმის მთავარი პარტნიორია. აქედან გამომდინარე, პროგრამას აქვს პოტენცია გახდეს მისაბაძი მაგალითი საქართველოს სხვა უსდ-ებისთვის. |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>**☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 2.3. სასწავლო კურსი |
|---|
| ➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;<br>➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების |

| |
|---|
| მიღწევას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>CEREES-ის სამაგისტრო პროგრამის მიერ მოწოდებული სილაბუსებისა და პროგრამის მონახაზის ღრმა ანალიზის საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფმა დაასკვნა, რომ ძირითადი კურსების სწავლის შედეგები (დაყოფილი დარგის სპეციფიკურ და ტრანსფერულ სწავლის შედეგებად) შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. კურსის შინაარსი და კრედიტების დატვირთვა შეესაბამება პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებს. როგორც 2.2 აკრედიტაციის კომპონენტის შეფასებაში აღინიშნა, პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს არასავალდებულო და ძირითადი კურსების მრავალფეროვნებას (რომლებიც ადმინისტრირებულია გლაზგოსა და ტარტუს უნივერსიტეტების მიერ). კურსები სტუდენტებს აძლევს ცოდნასა და უნარებს, რათა შექმნან ინოვაციური მიდგომები რეგიონის შესწავლისთვის და აერთიანებს სამეცნიერო დისციპლინისთვის დამახასიათებელი მიდგომების მრავალფეროვნებას სტუდენტის მიერ საკუთარი, დამოუკიდებელი კვლევის ჩატარების მიზნით.<br>კურსის სილაბუსი, რომელიც წარმოდგენილია სამივე უნივერსიტეტის მიერ შესაფასებლად, იძლევა დეტალურ ინფორმაციას წინაპირობების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ასევე დამოუკიდებელი და საკონტაქტო საათების განაწილების, კურსის განმავლობაში გამოსაყენებელი სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურის ჩამონათვალის თაობაზე. როგორც პროგრამის სტუდენტთან და კავკასიის მიმართულების კურსდამთავრებულთან გასაუბრებამ აჩვენა, მათ შეეძლოთ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში შემოთავაზებული არჩევითი კურსებიდან მათთვის სასურველის არჩევა. ვინაიდან სწავლების ენა არის ინგლისური, პროგრამა იძლევა წვდომას შთამბეჭდავ მრავალფეროვან წყაროებზე როგორც გლაზგოს, ისე ტარტუს უნივერსიტეტში, ასევე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, რასაც ორივე რესპონდენტმა გაუსვა ხაზი.<br>ამავდროულად, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ყველა არჩევითი კურსისთვის კარგი იქნებოდა გამოყენებული ძირითადი ლიტერატურის განახლება. თუმცა უმეტეს შემთხვევაში შემოთავაზებული ლიტერატურის მნიშვნელოვანი ნაწილი არის კლასიკური საკითხავი და ფოკუსირებულია საკითხზე, რომლის გარეშეც დემოკრატიზაციის პროცესის, ენერგეტიკის პრობლემების, მეხსიერების პოლიტიკის ან ეთნიკური კონფლიქტების შესწავლა შეუძლებელი იქნებოდა. მიუხედავად ამისა, ასეთი გავლენიანი ლიტერატურა უნდა გამდიდრდეს უფრო ახალი საკითხავით, სასურველია, სამეცნიერო ნაშრომებით, ანალიტიკური შეფასებებით და ა.შ. |

აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, CERRES-ის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელთან, ასევე სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუებმა დაადასტურა კურსის შინაარსის უწყვეტი, შეუფერხებელი და სისტემატური შეფასება და შეძენილი უნარებისა და ცოდნის შეფასების უნარი კურსის ფარგლებში, შემოთავაზებული შეფასების კომპონენტების მეშვეობით.

რაც შეეხება შეფასების მეთოდებს, მაშინ როცა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი პასუხისმგებელია CEREES პროგრამის ინსტიტუციური შეფასებისა და მონიტორინგის ზედამხედველობასა და კოორდინაციაზე, კონსორციუმის მმართველ საბჭოს ევალება სტუდენტების გამოცდის საერთო სტანდარტების უზრუნველყოფა. ინდივიდუალური კურსის სახელმძღვანელოები შეიცავს ყველა საჭირო ინფორმაციას საბოლოო შეფასების გამოთვლებზე და ასევე შეფასების კომპონენტებზე.

პროგრამის მოთხოვნის მიხედვით, სტუდენტს უფლება აქვს გადავიდეს დისერტაციის ეტაპზე საშუალოდ 12 ქულის მოპოვების , კრედიტების მინიმუმ 75%-ის, 9 და მეტი ქულის შემთხვევაში, ყველა კრედიტისთვის 3 და მეტი ქულით. აღსანიშნავია, რომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს თავისუფლად შეუძლია გამოიყენოს საკუთარი შეფასების სისტემა კავკასიის კვლევების მაგისტრის ხარისხის მინიჭების მიზნით, თუმცა შეფასება დეტალურ მონახაზთან ერთად უნდა წარედგინოს კონსორციუმის საგამოცდო საბჭოს. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი იღებს ვალდებულებას გასცეს მკაფიო და სრული ინფორმაცია საკუთარი და გლაზგოს უნივერსიტეტის შეფასების სისტემების შესაბამისობის შესახებ. ფინალურ გამოცდას ასევე ამოწმებს საგამოცდო საბჭო.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციის მიხედვით, სამაგისტრო ნაშრომი და სტაჟირება (კავკასიის მიმართულების შემთხვევაში) გამოიყენება სწავლის შედეგების მიღწევის გასაზომად, ხოლო არჩევითი კურსები, რომლებიც იძლევა შესაძლებლობას სისტემატიურად და კრიტიკულად შეფასდეს რეგიონში არსებული რთული და მრავალმხრივი პროცესები (კერძოდ, დემოკრატიზაცია, ენერგეტიკასთან დაკავშირებული საკითხები, კავკასიის კულტურები, საბჭოთა წარსული, სამხრეთ კავკასიის თანამედროვე საგარეო პოლიტიკა, რუსული ენა და სხვ.), სტუდენტებს შეუძლიათ აირჩიონ სწავლის მესამე სემესტრში. ეს კურსები არ წარმოადგენენ ნიშნულებს მათი არჩევითი სტატუსის გამო.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- პროგრამის სწავლის შედეგების რუქა;
- პროგრამა და სილაბუსები;

- გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელთან (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი), გლაზგოს უნივერსიტეტისა და ტარტუს უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან.
- IMCEREES-ის ვებ-გვერდი;
- ილია უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის არჩევითი კურსებისთვის კარგი იქნება მათი სილაბუსების განახლება. მიუხედავად იმისა, რომ კლასიკური საკითხავების უმეტესობა გამოიყენება საკითხებისთვის, როგორიცაა დემოკრატიზაციის პროცესი, ენერგეტიკა, მეხსიერების პოლიტიკა ან ეთნიკური კონფლიქტები, რჩება საკმაო ადგილი ახალი და კრიტიკული ლიტერატურისთვის.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს არასავალდებულო კურსების მრავალფეროვნებას, რაც მათ საშუალებას აძლევს მიიღონ სიღრმისეული ცოდნა მათთვის საინტერესო საკითხზე.

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება**

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული,

| |
|---|
| სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>მიუხედავად იმისა, რომ დამსაქმებლები საკმაოდ კმაყოფილნი არიან პროგრამით - როგორც აჩვენებს დოკუმენტაცია და ჩვენი ინტერვიუები - სტუდენტებს შორის გარკვეული უნარების ხარვეზმა შეშფოთება გააჩინა. მიუხედავად იმისა, რომ დამსაქმებლები კმაყოფილებას გამოთქვამდნენ აკადემიური წერის ან ვერბალურ უნარებზე, ისინი ფიქრობდნენ, რომ ზოგიერთ სტუდენტს არასაკმარისი ცოდნა ჰქონდა სამხრეთ კავკასიის რეგიონის შესახებ; ამდენად, მათთვის გამოწვევად რჩება ადგილობრივი კონტექსტის უფრო ღრმა გაგება. უფრო მეტიც, მიმდინარე ადგილობრივ თუ რეგიონულ პოლიტიკურ ანალიზებში თეორიული ცოდნის გამოყენება, მათი აზრით, ყველაზე ნაკლებად განვითარებული უნარია პროგრამის სტუდენტებს შორის. ხაზი გაესვა პრაქტიკული და ანალიტიკური უნარების გაუმჯობესების აუცილებლობას, ასევე მონაცემთა შეგროვებას. რაც შეეხება ტრანსფერულ უნარებს, გამოიკვეთა კომუნიკაციის უნარების გაძლიერება. რეგიონის შესახებ ცოდნასთან დაკავშირებული ხარვეზი გასაგებია, რადგან სტაჟირება ტარდება მესამე სემესტრში (ესაა პირველი იმ ორი სემესტრიდან, რომელსაც სტუდენტები ატარებენ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში), თუმცა მეტის ძალისხმევის ჩადება შეიძლება იმაში, რომ სტუდენტები გაეცნონ რეგიონულ კონტექსტს სანამ სტაჟირებაზე გაიგზავნებიან.<br><br>სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების შეფასების ანგარიშებზე, ასევე ინტერვიუებზე დაყრდნობით, პროგრამის ძირითად ასპექტებად დასახელდა დისკუსიის მეტი შესაძლებლობა და სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიების ინტეგრირება. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფი აღიარებს, რომ მის ზოგიერთ დაკვირვებაზე შეიძლება გავლენა იქონიოს კითხვარის ნიმუშის ძალიან მცირე ზომამ. ჩვენ ველით, რომ უნივერსიტეტი უფრო ხშირად მოუსმენს როგორც სტუდენტებს, ასევე დამსაქმებლებს და გაუმკლავდება პრობლემებს.<br><br>სტაჟირება სავალდებულო კომპონენტია და მოიცავს 6 ECTS კრედიტს. პროცესს ასევე აქვს კარგად ჩამოყალიბებული შეფასების კომპონენტი სტაჟირების ორგანიზების ხელმძღვანელისა და ფაკულტეტის სტაჟირების ხელმძღვანელის წყალობით. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა აირჩიონ სტაჟირების ორგანიზაციები იმ სიიდან, რომელსაც უნივერსიტეტი სთავაზობთ (ამჟამად ჩამოთვლილია შვიდი ორგანიზაცია, თუმცა ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა წვდომა მხოლოდ ორ მემორანდუმზე) უნივერსიტეტთან/ფაკულტეტთან/პროგრამასთან შეთანხმებით. მიუხედავად ამისა, სტაჟირების ორგანიზაციების ჩამონათვალის გაზრდა სტუდენტებს მისცემს შესაძლებლობას აირჩიონ სხვადასხვა სტაჟირება, გააფართოვონ სამუშაო სფეროები და მიიღონ პრაქტიკული გამოცდილება უფრო ეფექტური გზით.<br><br>შრომის ბაზრის პოტენციური საჭიროებებისა და მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნულია პროგრამის შეფასება დამსაქმებლების მიერ; დოკუმენტის საქაღალდე მოიცავს ფოკუს ჯგუფის ინტერვიუს შვიდ დამსაქმებელთან და |

| |
|---|
| აღწერს პროგრამის გამოწვევებსა და შესაძლებლობებს. მიუხედავად იმისა, რომ ეს დამსაქმებლები არიან მთავარი დაინტერესებული მხარეები და ასევე პროგრამაში ჩარიცხული სტუდენტებისთვის სტაჟირების ძირითადი მიმწოდებლები, ფოკუს ჯგუფის მონაწილეებისა და თემების შეზღუდული რაოდენობა ნაკლებად შესაძლებელს ხდის, მივიღოთ ღრმა და ყოვლისმომცველი სურათი შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და საჭიროებების შესახებ. ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, რომ პროგრამამ გაზარდოს დაინტერესებულ მხარეების ანუ დამსაქმებლების რაოდენობა.<br><br>დამსაქმებელთა ჯგუფთან შეხვედრისას ექსპერტთა ჯგუფმა გაიგო, რომ უნივერსიტეტი მათ კონსულტაციას უწევს სამ წელიწადში ერთხელ. ჩვენ არ შეგვხვედრია დამსაქმებლებთან მუდმივი კომუნიკაციის (ფორმალური თუ არაფორმალური) დამკვიდრებული მექანიზმი. ზოგიერთმა დამსაქმებელმა აღნიშნა, რომ მათი წინადადებები პროგრამის გასაუმჯობესებლად განიხილებოდა პროგრამის ადმინისტრაციის მიერ, თუმცა, უკეთესი იქნება, რომ პროგრამას ჰქონდეს უფრო რეგულარული უკუკავშირის მექანიზმი. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ ინტერვიუები დამსაქმებლებთან, ასევე სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;<br>○ ინტერვიუები ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან;<br>○ თვითშეფასების ანგარიში;<br>○ სტუდენტების შეფასების ანგარიში;<br>○ დამსაქმებლების შეფასების ანგარიში;<br>○ პრაქტიკის/სტაჟირების გაიდლაინები;<br>○ დამსაქმებლების ფოკუს ჯგუფი და ინტერვიუები |
| **რეკომენდაციები:**<br><br>პროგრამის ფარგლებში უნდა ჩატარდეს შრომის ბაზრის საჭიროებებისა და მოთხოვნების უფრო რეგულარული, ღრმა და ყოვლისმომცველი შეფასება, უფრო მეტი ხარისხობრივი კომპონენტით და დამსაქმებლების ჩართულობით. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>○ პროგრამამ სტუდენტებს უნდა შესთავაზოს მეტი შესაძლებლობები, რათა მათ გააღრმავონ საკუთარი ხედვა ადგილობრივ და რეგიონულ განვითარებაზე.<br>○ უნდა გაფართოვდეს თანამშრომლობა და მემორანდუმები შესაბამის არასამთავრობო ორგანიზაციებთან, კვლევით ცენტრებთან და, საჭიროების შემთხვევაში, საქართველოში მოქმედ შესაბამის კერძო სტრუქტურებთან, სტაჟირების მეტი შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად;<br>○ საჭიროა პოტენციურ დამსაქმებლებთან (საერთაშორისო ორგანიზაციებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და საჯარო სექტორთან) მუდმივი კომუნიკაციის მექანიზმის ჩამოყალიბება, რომელიც განხორციელდება სულ მცირე წელიწადში ერთხელ; |

| |
|---|
| ○ საჭიროა უკეთესი მექანიზმი სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გასაგებად. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>○ მცირე ჯგუფები სტუდენტებსა და ლექტორებს საშუალებას აძლევს წარმართონ თავისუფალი, ღია და ეფექტური დისკუსიები.<br>○ სავალდებულო სტაჟირება, რომელსაც აქვს 6 ECTS კრედიტი და შეფასების ძლიერი კომპონენტი, სტუდენტს აძლევს დამატებით მოტივაციას, რომ უფრო მეტად გამოიყენოს თავისი შესაძლებლობები სამსახურში. |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>**☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები |
|---|
| პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>სწავლების მეთოდები, რომლებსაც გვთავაზობს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, რუსული და ევრაზიის კვლევების სამაგისტრო პროგრამა (CEERES), სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას, დაეუფლონ იმ ცოდნასა და უნარებს, რომლებიც შეესაბამება თითოეული კურსით და მთლიანად პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს. მოწოდებული დოკუმენტაციით, ასევე მთავარ დაინტერესებულ მხარეებთან ჩატარებული გასაუბრებით, დასტურდება რომ კურსების ფარგლებში გამოიყენება სწავლებისა და სწავლის სხვადასხვა მეთოდები. კურსების უმრავლესობა მოიცავს ლექციებსა და სეინარებს, წერის მეთოდს, დისკუსიასა და დებატებს. ზემოთ ხსენებული მეთოდების გარდა, ზოგიერთი კურსი, |

| |
|---|
| როგორიცაა „გარდამავალი პერიოდის ენერგეტიკა და ეკონომიკა სამხრეთ კავკასიაში“ ყურადღებას ამახვილებს გამოკითხვასა და ინდივიდუალურ პროექტებზე დაფუძნებულ სწავლაზე; „ევროპეიზაციის ფორმები და შედეგები“ იყენებს შემთხვევის შესწავლის მეთოდს; „სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკა“ და „კავკასიის პოლიტიკური ისტორია“ - იყენებს ჯგუფურ მუშაობას, ასევე კომბინირებულ ლექცია/სემინარებს, პრაქტიკულ კომპონენტთან ერთად.<br>ექსპერტთა ჯგუფი მიესალმება, რომ კურსების უმრავლესობაში, ძლიერ არის ყურადღება გამახვილებული საბოლოო შეფასების დავალებად კვლევითი ნაშრომის გამოყენებაზე. CEREES პროგრამის კიდევ ერთი ძლიერი მხარეა არგუმენტირებული და ანალიკიტური ესეები, როგორც შუალედური შეფასების ნაწილი, დისკუსიებსა და დებატებზე ყურადღების გამახვილებასთან ერთად. ზოგიერთი კურსი, როგორიცაა „შედარებითი ეთნოპოლიტიკა“ გვთავაზობს წიგნის მოკლე შინაარსს, როგორც შუალედური შეფასების ნაწილს. სხვა კურსები, როგორებიცაა „ბალტიის ზღვის რეგიონის ისტორია“, ყურადღებას ამახვილებს ინდივიდუალურ კრიტიკულ ანალიზსა და რეფლექსიურ ნაშრომებზე, რაც საერთო მახასიათებელია პროგრამის ძირითადი და არჩევითი კურსებისთვის. მართალია, ზოგიერთი არჩევითი საგანი, თავისი პირობებიდან გამომდინარე, შესაძლოა შედარებით მცირე რაოდენობის სტუდენტებს ითვალისწინებდეს, თუმცა პროგრამის სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა გასაუბრებისას გამოავლინეს, რომ ყოფილა შემთხვევბი, როდესაც ისინი ერთადერთი სტუდენტი იყვნენ კლასში, შესაბამისად, კურსის ინსტრუქტორებს შეუძლიათ მცირედი ცვლილებები შეიტანონ კურსით გათვალისწინებულ თავდაპირველ სწავლების მეთოდებში. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ პროგრამა და სილაბუსები;<br>○ გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელთან (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი), გლაზგოს უნივერსიტეტისა და ტარტუს უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან.<br>○ თვითშეფასების ანგარიში<br>○ IMCEREES-ის ვებ-გვერდი;<br>○ ილია უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.<br>○ თვითშეფასების ანგარიში |
| **რეკომენდაციები:**<br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

**☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- შეფასების მეთოდების დიაპაზონი და ამ შეფასების გარშემო არსებული მკაფიოობა წარმოადგენს პროგრამის ძლიერ მხარეს. სტუდენტისგან მოსალოდნელია, რომ იგი მრავალ უნარს განივითარებს შეფასების მეთოდების მრავალფეროვნებით. თუმცა, დამატებითი ძალისხმევაა საჭიროი მისათვის, რომ ყველა სტუდენტი, რომელთაც სამ სხვადასხვა დაწესებულებასთან უწევთ შეხება, კომფორტულად გრძნობდეს თავს სხვადასხვა მეთოდებთან და სასწავლო კულტურასთან და პროგრამის გუნდის მიერ ამისი სათანადო გაცნობიერება, მთელს გამოცდილებას უფრო უნაკლოს გახდის. საერთო ჯამში, მართალია პარტნიორ დაწესებულებებს შორის არსებობს განსხვავებები, რისი გაცნობიერებაც ხდება, თუმცა სტუდენტს უნდა შეეძლოს იმის განსაზღვრა, თუ რა ქულა რა დონის კომპეტენციაზე მიუთითებს. ნაშრომის ხელმძღვანელობის პროცსი, ისევე როგორც ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები, გამჭვირვალეა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში და წარდგენილი დოკუმენტაცია შეფასებასთან

| |
|---|
| დაკავშირებით სტუდენტებს პრეტენზიები არ წამოუყენებიათ. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>○ შშმ სტუდენტების სპეციალური საჭიროებებისა და ევროპული მოთხოვნების გათვალისწინებით, თითეულ მოდულში ხელმისაწვდომი უნდა იყოს შეფასების ალლტერნატიული მეთოდები, რომლებიც მოერგება სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტებს. მაგალითად, კონკრეტული ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე სტუდენტისთვის შესაძლოა გამოწვევა იყოს საკლასო პრეზენტაციები; შესაბამისად, შეფასების ალტერნატიული ფორმა, როგორიცაა ერთი ერთზე პრეზენტაცია ან უფრო გრძელი ესეს დაწერა, შესაძლოა უფრო ხელსაყრელი იყოს სტუდენტისთვის.<br>○ მეტი თანამედროვე სწავლების მეთოდოლოგიების ინტეგრირება (დისკუსიები, მრგვალი მაგიდა, შემთხვევის შესწავლა) კურსებში, უფრო გააძლიერებს კომუნიკაციის, მონაცემთა შეგროვებისა და ანალიტიკურ უნარებს. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>**☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | | | | |

### 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

| 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება |
|---|
| სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ სტუდენტთა დახმარებისათვის აუცილებელი მომსახურებები უნივერსიტეტში ხორციელდება. სტუდენტთა მხარდაჭერის სერვისები პროგრამის ერთ-ერთი უძლიერესი მხარეა. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და პროგრამის პერსონალი, მუდმივი შეხვედრების დროს, სტუდენტებს აწვდიან შესაბამის ინფორმაციას იმ კონსულტაციებსა და მხარდამჭერ მომსახურებებზე, რომლებიც უნივერსიტეტშია ხელმისაწვდომი. აკადემიური პერსონალის მოქნილი მიდგომა სილაბუსის შემუშავების პროცესისადმი,, სტუდენტებს აძლევს უნიკალურ შესაძლებლობას, მიიღონ კონკრეტული სამეცნიერო |

ინფორმაცია თავიანთი ინტერესების შესაბამისად და მიაღწიონ პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს. იმავდროულად, სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის მიზნით, ფოკუს ჯგუფებთან რეგულარული შეხვედრები ტარდება. აღსანიშნავია პროგრამის ადმინისტრაციულ, აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს შორის არსებული უკუკავშირის ეფექტური მექანიზმი, რაც ქაღალდზე იკითხება, თუმცა ზოგიერთი სტუდენტის მიერ გაკეთებულ კომენტარებზე დაყრდნობით, არ ვართ სრულად დარწმუნებული, რომ ის, რაც ფურცელზე წერია, პრაქტიკაშიც მუშაობს. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ სტუდენტთა მცირე რაოდენობასთან გვქონდა შეხვედრა, ჩვენი მოსაზრებების სრული თავდაჯერებით გამოხატვას ვერ შევძლებთ და შესაბამისად დაწესებულების სასარგებლოდ გავაკეთებთ დაშვებას.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი სტუდენტებისთვის არის უნივერსიტეტის შიდა ელექტრონულ სისტემაში „არგუსში“ შესვლის შესაძლებლობა, რაც მართავს და მხარს უჭერს საგანმანათლებლო პროცესს. ონლაინ სისტემა არგუსი, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტებსა და ლექტორებს შორის კომუნიკაციას, სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს მიიღონ ონლაინ კონსულტაციები ნებისმიერი საკუთხთან ან მათთვის საინტერესო კურსთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ ოფიციალური ელექტრონული ფოსტა, სატელეფონო კომუნიკაცია, სოციალურ ქსელებში შექმნილი ოფიციალური ჯგუფები და უნივერსიტეტის ოფიციალური ვებგვერდი აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესთან დაკავშირებით სტუდენტებისთვის ინფორმაციის მისაწოდებლად. თუმცა, გამოკითხულმა სტუდენტებმა გასაუბრებისას ახსენეს ინფორმაციასთან დაკავშირებით არსებული დაბნეულობა. კომუნიკაციის ამ სისტემის მეშვეობითმ სტუდენტები რეგულარულად იღებენ ინფორმაციას სასწავლო გეგმაზე სასწავლო პროცესზე, სასწავლო მასალებსა და სხვადასხვა აქტივობებზე, ასევე ინფორაციას მიმდინარე და დაგეგმილ კონფერენციებზე, კვლევით პროექტებსა და გრანტებზე.

ექსპერტთა ჯგუფი არ არის სრულად დარწმუნებული რომ სტუდენტებს აქვთ სათანადო ინფორმაცია კარიერულ მომსახურებაზე, რომელსაც ხელმძღვანელობს სტუდენტურ საქმეთა განყოფილება. გასაუბრებიდან ირკვევა, რომ პროგრამის სტუდენტებისა თუ კურსდამთავრებულების უმრავლესობას არასოდეს გამოუყენებიათ მათი მხარდაჭერა ან არასოდეს მიუღიათ ელექტრონული წერილი მოახლოებული ღონისძიებების, კონფერენციებისა თუ ვაკანსიების თაობაზე. აშკარაა, რომ არსებობს ხარვეზი კომუნიკაციაში, რომლის გამოსწორებაც უნივერსიტეტის მიერ შესაძლებელი და აუცილებელია.

| |
|---|
| უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სტუდენტებს მუდმივად უტარებს ტრენინგებს იმის თაობაზე, თუ როგორ გამოიყენონ უნივერსიტეტის ელექტრონული რესურსები და მონაცემთა ბაზები. იმავდროულად, აკადემიური წერის ცენტრი სტუდენტებს აწვდის დამატებით დახმარებას იმის თაობაზე, თუ როგორ გამოიყენონ Moodle და Turnitin-ის რესურსები. თუმმცა, როგორც შესაბამის ფოკუს ჯგუფთან გასაუბრებისას გაირკვა, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ელექტრონული კომუნიკაციის სისტემის სხვადასხვა ხელსაწყოები სტუდენტებისთვის ცოტა გაუგებარია.. ამ მხრივ, რეკომენდებულია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლის დაწყებისთანავე ყველა სტუდენტისთვის უზრუნველყოთ დეტალური ინსტრუქტაჟი და ამომწურავი ინფორმაცია არსებული ელექტრონული პლატფორმებისა და კომუნიკაციის ხელსაწყოების გამოყენების თაობაზე.<br><br>აღსანიშნავია, რომ სწავლის დროს, სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობები ჩაერთონ სხვადასხვა სახის საერთაშორისო ან ადგილობრივ ღონისძიებებში ამასთან ერთად, საგარეო ურთიერთობების სამსახური უზრუნველყოფს სტუდენტებს საერთაშორისო შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციაზე წვდომით (საზაფხულო სკოლები, საერთაშორისო კონფერენციები, სხვა ტრენინგები და ა.შ.). www.elearning.iliauni.edu.ge). ისეთ ორგანიზაციებთან აქტიური თანამშრომლობის გზით, როგორებიცაა მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური უნივერსიტეტი , საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი (რონდელის ფონდი) და მედიის განვითარეფის ფონდი (MDF), პროგრამის სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა, რომ გაიარონ სტაჟირება ზემოთხსენებულ ორგანიზაციებში და განახორციელონ კვლევითი საქმიანობა . |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ ინტერვიუები სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან ადგილზე ვიზიტისას<br>○ თვითშეფასების ანგარიში;<br>○ პროგრამის კურსების სილაბუსები<br>○ სასწავლო პროცესის ორგანიზების ელექტრონული პლატფორმა არგუსი www.argus.iliauni.edu.ge;<br>○ აკადემიური პროგრამის ხელმძღვანელების წესები და სამუშაო ჯგუფების აქტივობები;<br>○ ინფორმაცია საკონსულტაციო საათებზე http://argus.iliauni.edu.ge;<br>○ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა http://library.iliauni.edu.ge;<br>○ აკადემიური წერის ცენტრის ვებ-გვერდი: http://writingcentre.iliauni.edu.ge |

| |
|---|
| ○ პარტნიორ უნივერსიტეტებს შორის გაფორმებული მემორანდუმი |
| **რეკომენდაციები:**<br><br>○ უაღრესად რეკომენდებულია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლის დაწყებისთანავე ყველა სტუდენტისთვის უზრუნველყოთ დეტალური ინსტრუქტაჟი და ამომწურავი ინფორმაცია არსებული ელექტრონული პლატფორმებისა და კომუნიკაციის ხელსაწყოების გამოყენების თაობაზე. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>- საერთაშორისო თუ ადგილობრივ სტუდენტებში, გაიზარდოს ცნობიერება კარიერული მხარდაჭერისა და სტუდენტურ საქმეთა განყოფილების შესახებ, რათა მიეწოდოთ მეტი შესაძლებლობები, რომ ადაპტირდნენ ადგილობრივ გარემოსთან და სამუშაო შესაძლებლობების, კონფერენციებისა თუ ღონისძიებების გზით, მიიღონ ცოდნა ადგილობრივ მოვლენებზე. უფრო მეტიც, უნდა გაძლიერდეს სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტის კომუნიკაციის მექანიზმი |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>**☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა |
|---|
| მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი. |

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამის თვითშეფასების ანგარიშიდან, შესაბამისი თანდართული დოკუმენტაციიდან, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან ჩატარებული გასაუბრებებიდან და შესაბამისი დოკუმენტების განხილვიდან (რეზიუმეები და უნივერსიტეტის რეგულაციები) მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფი დარწმუნებულია, რომ ამ მხრივ, პროგრამა აკმაყოფილებს აკრედიტაციის სტანდარტებს. ყველა მაგისტრანტი სარგებლობს პირისპირ მიდგომით, ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი და თუ საჭიროა, გამომდინარე თემიდან, გარე თანა-ხელმძღვანელი, რომელსაც გაჩნია დესერტაციის თემის რელევანტური სამეცნიერ-კვლევითი გამოცდილება. ამ პროგრამის ფარგლებში, სწავლების მესამე სემესტრის მსვლელობისას, სტუდენტი იღებს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, იმ უნივერსიტეტიდან, სადაც მეორე სასწვლო წელს იმყოფება (ამ პროგრამისთვის, ეს არის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი). უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს ხელმძღვანელების უფლება-მოვალეობებს და ხელმძღვანელობის პროცესს. ხელმძღვანელები რეგულარულ საფუძველზე უწევენ კონსულტაციებს სტუდენტებს. ხელმძღვანელები არიან აფილირებული აკადემიური პერსონალის წევრები, აქვთ ძლიერი აკადემიური ბექგრაუნდი და პრიფესიული გამოცდილება ევრაზიის კვლევებში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ინტერვიუები სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან ადგილზე ვიზიტისას
- თვითშეფასების ანგარიში;
- სამაგისტრო
  პროგრამა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, რუსეთისა და ევრაზიის კვლევე ბში
- პროგრამის კურიკულუმი
- პროგრამის განხორციელებაში მონაწილე აკადემიური და მოწვეული პერსონალი და მათი რეზიუმეები,
- დოკუმენტები;
- სამაგისტრო ნაშრომები;
- აკადემიური პროგრამის ხელმძღვანელების წესები და სამუშაო ჯგუფების აქტივობები;
- ინფორმაცია საკონსულტაციო საათებზე http://argus.iliauni.edu.ge;

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ

პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

სტუდენტსა და ხელმძღვანელ შორის რამდენიმე შეხვედრის უკეთესად და სავალდებულო დონეზე აღრიცხვა.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | | | | |

## 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

## 4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამას ხელმძღვანელობს და მართავს ძალიან დიდი ძალისხმევის მქონე აკადემიკოსები და დაწესებულებების მასშტაბით მოქმედებს კვლევაზე დაფუძნებული სწავლების ძლიერი კულტურა. პროგრამაზე შეთავაზებული აკადემიური ექსპერტიზის დიაპაზონი შთამბეჭდავია, მოიცავს პოლიტიკასა და საერთაშორისო ურთიერთობებს, კულტურულ კვლევებს, გეოპოლიტიკასა თუ რეგიონულ კვლევებს, პედაგოგები და ინსტრუქტორები არიან როგორც უკვე კარგად დამკვიდრებული, ასევე ახალბედა მკვლევარები. პროგრამა უმეტესად ეფუძნება აკადემიურ პერსონალს, გარკვეულწილად კი მოწვეულ პერსონალს ექსპერტიზისთვის. პროგრამაში სამუშაო დატვირთვა პრობლემას არ წარმოადგენს. პროგრამას აქვს საკმარისი ადმინისტრაციული და ხარისხობრივი მხარდაჭერა. პროგრამის ხელმძღვანელის კოლექტიური სტრუქტურა კარგად მუშაობს; დაწესებულებებს შორის კოორდინირების კუთხით მათი როლი უკიდურესად მნიშვნელოვანია. ERASMUS Mundus პროექტში მონაწილეობა აშკარა უპირატესობას წარმოადგენს. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის კვლევისა და სწავლების მხარდაჭერა მტკიცებულებებით დასტურდება, ექსპერტთა ჯგუფმა ვერ გამოავლინა, პროგრამის მიღმა, დაწესებულებათა შორისი მუშაობის დიდი მტკიცებულებები. მართალია ეს არსებითი მნიშვნელობის არ არის, თუმცა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიკოსთათვის კარგი იქნებოდა, რომ გააფართოვონ და განავითარონ უფრო დიდი კვლევითი და პროფესიული თანამშრომლობა კონსორციუმის სხვა წევრებთან, ამ კონკრეტული პროგრამის მიღმა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში, პედაგოგების რეზიუმეები და გასაუბრების შედეგები.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- ექსპერტთა ჯგუფს არ ჰქონდა შესაძლებლობა ან უფლებამოსილება რომ ჩაეტარებინა პროგრამის გენდერული ანალიზი. ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა, რომ გასაუბრებებზე წარმოდგენილ აკადემიკოსთა უმეტესობა მამაკაცი იყო. ექსპერტთა ჯგუფი იმედოვნებს, რომ მამაკაცთა დომინირება არ წარმოადგენს აღნიშნული პროგრამისთვის ნორმას და მოვუწოდებთ, რომ ამ პროგრამაზე გაცნობიერებული ჰქონდეთ ფუნდამენტალური აკადემიური პრინციპი, რომელიც თანასწორი და მრავალფეროვანი განათლების უზრუნველყოფას გულისხმობს.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- მსოფლიო დონის მკვლევარებს წვლილი შეაქვთ პროგრამის სხვადასხვა სფეროში, მათ შორის საერთაშორისო ურთიერთობებში, დემოკრატიზაციასა და კავკასიის კვლევების სხვა ასპექტებში.

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

სხვადასხვა დოკუმენტებსა და გასაუბრებებზე დაყრდნობით, ექსპერტთა ჯგუფმა დაასკვნა, რომ დაწესებულება აკადემიური და კვლევითი პერსონალისთვის უზრუნველყოფს საკმარის შესაძლებლობებს, რათა მათ გაიუმჯობესონ უნარები და ცოდნა. გადამზადება და პერსონალის განვითარება უზრუნველყოფილია პედაგოგიური მიმართულებით. თუმცა, ჩვენ ვერ გამოვავლინეთ იმის დეტალები, თუ როგორ ხდება აკადემიური პერსონალის შეფასება და მხარდაჭერა არსებული ინსტიტუციური დონის დაწესებულებების/ცენტრების მიღმა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სხვადასხვა დოკუმენტები და გასაუბრება

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

| 4.3 მატერიალური რესურსი |
|---|
| პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>თვითშეფასების ანგარიშიდან, ასევე წარმოდგენილი დოკუმენტებიდან და სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და ბიბლიოთეკის პერსონალთან ჩატარებული გასაუბრებებიდან მკაფიოდ გამოვლინდა, რომ უნივერსიტეტში, პროგრამის სტუდენტებისთვის, შეუზღუდავად ხელმისაწვდომია ადეკვატური ინფრასტრუქტურა და მატერიალურ ტექნიკური რესურსები, რათა მათ მიაღწიონ სწავლის შედეგებს.<br>ხელმისაწვდომია სილაბუსებით გათვალისწინებული სავალდებულო ლიტერატურისა და სხვა რესურსების ელექტრონული თუ ბეჭდური ვერსიები; ამ მიზნით, აქტიურად გამოიყენება ელექტრონული სწავლის პლატფორმა და Moodle. ლექტორებისთვის თითოეული მათგანის გამოყენება არჩევითია, თუმცა სამაგისტრო ნაშრომის წარდგენა ხდება ელექტრონული სწავლების პლატფორმაზე. მართალია, ორივე ელექტრონულ პლატფორმაზე განთავსეფულია სილაბუსები და ცხრილები, ასევე დავალებებიც, სტუდენტებში მაინც გარკვეულ დაბნეულობას იწვევს. მართალია, ელექტრონული სწავლების პორტალით, ლექტორებსა და სტუდენტებს შორის კომუნიკაცია ხორციელდება (ელექტრონულ ფოსტანსთან და ტელეფონით პირად კომუნიკაციასთან ერთად), თუმცა ჩვენი რჩევაა დაწესებულებამ მეტი თანმიმდევრულობა გამოიჩინოს.<br>ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს ინდივიდუალურ და ჯგუფურ ტრენინგებს, რათა სტუდენტებს გამოუმუშავოს ის უნარები, რომლებიც საჭიროა ელექტრონულ სამეცნიერო მონაცემთა ბაზებში ნავიგაციისთვის; ელექტრონულ მონაცემთა ბაზებზე წვდომა შესაძლებელია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკიდან. EBSCO; JSTOR; Scopus; ScienceDirect; Clarivate Analytics; Pivot TM; ProQuest Dissertations; SAGE; LexisNexis Academic; Political Science Complete; Humanities Source; Project MUSE; Cambridge Journals; და ა.შ. ამჟამად, დანერგილია „ერთი ფანჯრის“ პრინციპი, რომელიც გამოიყენება საჭირო ლიტერატურის მოსაძებნად ყველა მონაცემთა ბაზაში. ადგილზე ვიზიტის დროს, წიგნები და მასალები |

შემოწმდა შემთხვევითობის პრინციპით და ადგილზე იყო ყველა მოთხოვნილი ლიტერატურა.
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს მჭიდრო თანამშროლობა გლაზგოსა და ტარტუს უნივერსიტეტების ბიბლიოთეკებთან, რაც უზრუნველყოფს გამოცდილებისა და თანამედროვე საბიბლიოთეკო სერვისების გაზიარებას; ეს სტუდენტებისთვის ხელსაყრელი უნდა იყოს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ადგილზე ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუები დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის ბიბლიოთეკის პერსონალთან..
- თვითშეფასების ანგარიში;

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- უნივერსიტეტის ბიბლიოტეკის მიერ სტუდენტებისთვის უზრუნველყოფილი ტრენინგები, სამეცნიერო მონაცემთა ბაზებში ნავიგაციისთვის.

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

| |
|---|
| |
| პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>აღნიშნული პროგრამა პრესტიჟულ პროგრამას წარმოადგენს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის და დაგვარწმუნეს, რომ მას აქვს ძლიერი მხარდაჭერა უფროსი ხელმძღვანელობის მხრიდან. სტუდენტთა დაბალი რაოდენობა,, ზედაპირულად, შესაძლოა იმედგამაცრუებელი იყოს, თუმცა ის ფაქტი, რომ კავკასიასთან დაკავშირებული ეს კონკრეტული პროგრამა, წარმოადგეს უფრო მსხვილი კონსორციუმის პროგრამის ნაწილს, ნიშნავს რომ რაოდენობრივი კუთხით ბუნებრივი ლიმიტი იარსებებს. ბალანსი სტიპენდიებსა და თვითდაფინანსებულ ადგილებს შორის დამაკმაყოფილებელია. უნივერსიტეტი ასევე იჩენს ძალისხმევას, რომ მხარი დაუჭიროს არამხოლოდ პროგრამის სტუდენტებს, არამედ პედაგოგებსაც. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ უფროს ხელმძღვანელობასთან გასაუბრება |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა |

| |
|---|
| ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | | | | |

## 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

| 5.1 შიდა ხარისხის შეფასება |
|---|
| პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში განისაზღვრება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეგულაციით. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სერვისები მოიცავს, სისტემურ გამოკითხვებს, სასწავლო გეგმის, მომსხურებებისა და რესურსების შეფასებებს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ყურადღებას ამახვილებს გრძელვადიან გამოკითხვებსა და შეფასების შედეგების გაანალიზებაზე, რათა შეინარჩუნოს ეფექტური მონიტორინგი და გამოავლინოს განვითარების ტენდენციები. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასებისა და ონლაინ სააკრედიტაციო ვიზიტისას გამოვლენილი მიგნებების მიხედვით, პროგრამის შეფასება თანმიმდევრულია და შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გაუმჯობესებისთვის. |

გარდა ამისა, უფრო ფართო კონსორციუმის შეფასება მოიცავს პროგრამის ყოველიური შეფასების საერთო პროცესს; სამივე უნივერსიტეტის ხელმძღვანელები ერთმანეთს უზიარებენ პრინციპებსა და მექანიზმებს, რათა უზრუნველყონ ხარისხის სათანადო შიდა შეფასება პროგრამისთვის. პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა დაფუძნებულია „დაგეგმე-შეასრულე-შეამოწმე-იმოქმედე“ პრინციპზე.

სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი ჩართულნიარიან შიდა ხარისხის შეფასების პროცესში. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თანამშრომლობს და ხელს უწყობს პროგრამის პერსონალის ჩართულობას, რათა უზრუნველყოს შეფასების კონსტრუქციული პროცესი; შესაბამისად, თვითშეფასების ანგარიში მზადდება აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის აქტიური ჩართულობით. თუმცა, ანგარიში ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ იგი არ არის თანმიმდევრულად შევსებული.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური კოორდინირებს სუსტი მხარეებისა და გამოწვევების გამოვლენას, პროგრამაში მონაწილე პერსონალთან ერთად თვითშეფასების ანგარიშზე მუშაობის პროცესში. საჭიროებასა და აუცილებლობაზე დაფუძნებული შეფასების გამოკითხვები გამოიყენება შიდა ხარისხის შეფასების პროცესის მიერ, რათა მიზანმიმართულად გამოვლინდეს პრობლემები და უზრუნველყოფილი იყოს ჩარევა ხარისხის გაუმჯობესების მიზნით . აღნიშნული გამოკითხვები მიზნად ისახავს დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტების , ასევე მობილობით გადმოსული სტუდენტების, საერთაშორისო სტუდენტებისა და სტატუსშეჩერებული სტუდენტების საჭიროებებისა და სურვილების გამოვლენას. როგორც დისტანციური ვიზიტისას ჩატარებული გასაუბრებებიდან გამოვლინდა, სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს აქვთ გარკვეული მოლოდინები, რომ საკუთარი რეკომენდაციების მიწოდების გზით, წვლილი შეიტანონ სერვისების განვითარებასა და სასწავლო პროცესში. ამგვარად, ამ საჭიროებაზე დაფუძნებულ გამოკითხვებში ყველა დაინტერესებული მხარის აქტიური მონაწილეობის ხელშეჭყობა, პროგრამას დაეხმარება შემდგომ განვითარებაში.

დოკუმენტაციამ, ასევე პარტნიორი დაწესებულებების პროგრამის ხელმძღვანელებთან გასაუბრებებმა დაგვარწმუნა, რომ ხარისხის უზრუნველყოფა ხდება ყველა დაწესებულებაში. უფრო მეტიც, ხარისხის უზრუნველყოფა პროგრამის შენარჩუნების მთავარ მამოძრავებელ ფაქტორად გვევლინება. ექსპერტთა ჯგუფი დაარწმუნეს, რომ წელიწადში ორჯერ კონსორციუმის შეხვედრების განხორციელებითა და პროგრამის დირექტორებსა და ხარისხის უზრუნველყოფის პერსონაკს შორის ხშირი კონტაქტის საფუძველზე, უზრუნველყოფილია კოორდინირებული მიდგომა.

| |
|---|
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ თვითშეფასების ანგარიში;<br>○ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;<br>○ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია;<br>○ გამოკითხვის ანგარიშები (სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებელთა ფოკუს ჯგუფები);<br>○ დისტანციური გასაუბრებები; |
| **რეკომენდაციები:**<br><br>რეკომენდაცია (რეკომენდაციები), რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>○ ხელი შეუწყვეთ ყველა დაინტერესებული მხარის აქტიურ ჩართულობას აჭიროებაზე დაფუძნებულ გამოკითხვებში. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 5.2 გარე ხარისხის შეფასება |
|---|
| პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს. |

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, ხარისხის გარე შეფასება ძირითადად ხორციელდება აკრედიტაციისა და ავტორიზაციის პროცესებით. რამდენადაც პროგრამა უნიკალური და საერთაშორისოა, მას აქვს უპირატესობა, აქტიურად ითანამშრომლოს კონსორციუმის პარტნიორებთან. პროგრამის გარე შეფასება ხორციელდება ყოველ წელს, თითოეულიი პარტნიორი უნივერსიტეტის მიერ, შესაბამის სახელმწიფოში არსებული წესებისა და რეგულაციების მიხედვით. 3 წელიწადში, პროგრამა გადის კონსორციუმის საერთო შეფასების პროცესს ტარტუს უნივერსიტეტში, რაც ეფუძნება სამოქმედო გეგმებსა და პარტნიორი უნივერსიტეტების მიერ შეთანხმებულ შედეგებს . კონსორციუმი მიზნად ისახავს, უზრუნველყოს შეფასების შემდგომი თანმიმდევრული პროცესი, დაწესებულებების მიერ მიღებული ზომების განსახილველად.

პროგრამამ პირველად აკრედიტაცია 2018 წელს გაიარა. აკრედიტაციის ექსპერტებს არ ჰქონდათ რეკომენდაციები და მხოლოდ ერთი რჩევა დააფიქსირეს. დაწესებულება გამოხატავს მიმღებლობას და ღიაობას ხარისხის უზრუნველყოფის გარე შეფასების შედეგებისადმი.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
- აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ანგარიში (2018წ).
- დისტანციური გასაუბრებები;

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამის განვითარებისა და სერვისის გაუმჯობესების მიზნით, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს მუდმივ მონიტორინგსა და პერიოდულ შეფასებებს. შეფასების პროვესი მოიცავს შიდა და გარე სუბიექტებს. აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებელთა გამოკითხვა წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრატეგიული ხედვების განხორციელების ცენტრალურ ხელსაწყოს. მონიტორინგის პროცესი ეფუძნება გამჭვირვალობისა და გაზიარების, ასევე თანამონაწილეობის, უწყვეტობის, აკადემიური კეთილსინდისიერების, თავისუფლებისა და ანგარიშვალდებულების პრინციპებს. ყოველი სავალდებულო კურსის დასასრულს, სტუდენტები აფასებენ კურსს, კურსის შეფასების ფორმის შევსებით. თუ სტუდენტთა რაოდენობა ძალიან დაბალია წარმომადგენლობითი შედეგების მისაღებად, მაშინ ტარდება ფოკუს ჯგუფები. საჭიროებებზე დაფუძნებული შეფასებითი გამოკითხვევი გამოიყენება პრიორიტეტებისა და გაუმჯობესებული მხარეების გამოსავლენად, რათა უზრუნველყოფილი იყოს ეფექტური მონიტორინგის პროცესი. შეფასების პროცესის შედეგები ვრცელდება დაინტერესებულ მხარეებში და გამოიყენება პროგრამის გაუმჯობესებისათვის.

სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები, ასევე გასაუბრებები,

| |
|---|
| მოწმობს, რომ სტუდენტებს აქვთ მოლოდინი, ჰქონდეთ მეტად ინტერაქტიული, დისკუსიაზე დაფუძნებული ლექციები და სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი. ამ მიზნით, სასარგებლო იქნება, საკლასო დაკვირვებისა და კოლეგათა ურთიერთშეფასების უფრო გააქტიურება. პროგრამას აქვს შესაძლებლობა ჩაატაროს ურთიერთშებასება კოლეგების მიერ, როგორც იმავე პროგრამიდან,, ასევე პარტნიორი უნივერსიტეტებიდან. ეს შედეგად გამოიღებს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას, გასაკუთრებით სტუდენტურ პრობლემებთან მიმართებაში და სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და უნარების გაუმჯობესების მიმართულებით.<br>პროგრამა უზრუნველყოფს ბენჩმარქინგს საუკეთესო პრაქტისთვის. რამდენადაც, პროგრამა უნიკალურია თავისი საქმიანობის სფეროთი და დისციპლინათაშორისი ხარიათით, არ მომხდარა ანალოგიური პროგრამების ანალიზი, თუმცა კონსორციუმში შემავალმა პარტნიორებმა საკუთარი გამოცდილება და პრაქტიკები გაუზიარეს ერთმანეთთს, რათა დააკმაყოფილონ თანამედროვე ტენდენციები და მოთხოვნები. გამოყენებულ იქნა პარტნიორი უნივერსიტეტების საუკეთესო ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკები, საერთაშორისო დონისა და კონკურენტუნარიანი პროგრამის შემუშავებისთვის. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ თვითშეფასების ანგარიში;<br>○ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;<br>○ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია;<br>○ გამოკითხვის ანგარიშები (სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებელთა ფოკუს ჯგუფები);<br>○ აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების რეგულაცია<br>○ დისტანციური გასაუბრებები; |
| **რეკომენდაციები:**<br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>სწავლების ხარისხის შენარჩუნების მიზნით, უფრო აქტიური გახადეთ საკლასო დაკვირვება და კოლეგების მიერ ურთიერთშეფასების პროცესი. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის** |

| |
|---|
| **შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | | | | |

### თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:** სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი (ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა გლაზგოს უნივერსიტეტთან და ტარტუს უნივერსიტეტთან ერთად)

**უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:** „ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, რუსეთისა და ევრაზიის კვლევების" Central and East European, Russian and Eurasian Studies (CEERES)

**დასკვნის გვერდების რაოდენობა:**

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | | | | |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | | | | |
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | | | | |
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | | | | |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | | | | |

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის</u>

სახელი, გვარი, ხელმოწერა

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის</u>

სახელი, გვარი, ხელმოწერა

სახელი, გვარი, ხელმოწერა

სახელი, გვარი, ხელმოწერა

სახელი, გვარი, ხელმოწერა